

საქართველოს კანონი

„პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“ საქართველოს
კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „პროდუქციის და მომსახურების სერტიფიკაციის შესახებ“
საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, №22-23, 17 ოქტომბერი, 1996,
გვ. 25) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლი მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ცენტრის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას ამტკიცებს
საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრი.“.

2. 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოში მისაღები ტექნიკური რეგლამენტების ნუსხას
შეიმუშაებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო,
დაინტერესებულ უწყებებთან შეთანხმებით.“.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს
ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ უზრუნველყოს კანონქვემდებარე
აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების
განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული
აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი